საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/221

ქ. ბათუმი 13 დეკემბერი, 2021 წელი

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიულ უნივერსიტეტში (KAZGUU) საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2021 წლის 10 დეკემბრის MES 7 21 0001350721 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული უნივერსიტეტის (KAZGUU) საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა (1-5 პირის) შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული **საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება - 2021 წლის 13 დეკემბრიდან 17 დეკემბრის 18:00 საათამდე** (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურის დახმარებით) - ელექტრონულ პლატფორმაზე http://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე: erasmus@bsu.edu.ge;
ბ) **საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება** - 2021 წლის 20 დეკემბერი -10:00 სათზე, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ;
გ) **გასაუბრება კონკურსანტებთან - 2021 წლის 20 დეკემბერი**, (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან ზუმის პლათფორმის მეშვეობით https: //us02web.zoom.us/j/5529839711?pwd=VHZHMDh5a3dLQnVMTWdKajhsYk4xQT09). გასაუბრების ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;
გ) ბსუ-ს მიერ კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2021 წლის 21 დეკემბერი.
2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) ანზორ ბერიძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

დ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);

ე) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

3. სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ანზორ ბერიძემ.

5. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს) და საკონკურსო კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**